სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

_____ კახაბერ კირტავა

„30„ 12 „ 2015 წელი

ეგზ. N2

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ეფექტიანობა

აჭარის რეგიონში

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში №36/105

2012 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 29 დეკემბერი

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ეფექტიანობა

აჭარის რეგიონში

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

2015

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა 5

შესავალი და მოტივაცია 6

აუდიტის მიზანი და კითხვები 8

შეფასების კრიტერიუმები 8

აუდიტის ფარგლები და მეთოდოლოგია 9

ზოგადი ინფორმაცია 11

მიგნებები 13

საინფორმაციო ბაზები 13

არ ხდება საინფორმაციო ბაზების ერთმანეთთან კავშირი და სამუშაოს მაძიებლებზე სრული ინფორმაციის მიწოდება. 13

არ ხდება საინფორმაციო ბაზების სრულყოფილი ფორმირება და გამოყენება. 15

პროფესიული გადამზადება 16

ბენეფიციარების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი პროფესიული გადამზადების მიუხედავად. 16

დასაქმების სააგენტოს მომსახურების ღიაობა/საჯაროობა 23

დასაქმების სააგენტოს ძირითადი, სრული მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი ინტერნეტით. 23

შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები 25

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი 26

ტერმინთა განმარტება

IOM - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

USAID - აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

სააგენტო - სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო"

შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, რომელიც სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალოებაა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და ამ პროცესში არსებობს გარკვეული პრობლემები და გამოწვევები, რომელთაგან განსაკუთრებით აქტუალურია სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი, უმუშევრობის მაღალი დონე და სამუშაო ძალის დაბალი ღირებულება.
საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის შედეგად, ხორციელდება პროფესიული გადამზადების სპეციალური პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებლების უნარ-ჩვევების განვითარებას უზრუნველყოფს შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ყოველწლიურად გამოიყოფა სახსრები, რათა მოხდეს უმუშევრობის შემცირება რეგიონში, იქნება ეს პროფესიული გადამზადების საშუალებით თუ სხვა ღონისძიებების განხორციელებით. აღნიშნული დაფინანსება მიემართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ ,,დასაქმების სააგენტოში''.

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განახორციელა დასაქმების პროგრამის შედეგების ეფექტიანობის აუდიტი. სააგენტოს პოზიტიური როლის მიუხედავად იდენტიფიცირებულია ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრა ხელს შეუწყობს სააგენტოს უფრო ეფექტიან ფუნქციონირებას.

სააგენტოს საინფორმაციო ბაზები, რომლის მეშვეობითაც უნდა მიეწოდოს სამუშაოს მაძიებლებს ინფორმაცია ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ არასრულყოფილია, მუშაობს ავტონომიურად და არ იძლევა საშუალებას სრულად მიეწოდოს აჭარის რეგიონში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

პროფესიული გადამზადების პროგრამები ფოკუსირებულია კონკრეტულ ჯგუფებზე, თუმცა პროგრამით გადამზადების შეფასების მთავარი კრიტერიუმი მათ მიერ სასწავლო პროცესის გავლაა და არა შემდგომი დასაქმება. ასევე საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია სასწავლო პროცესის შემდგომ დასაქმებულ პირთა რაოდენობის მიხედვით.
სააგენტოს ძირითადი ინფორმაცია, რომელიც ვებ-პორტალის საშუალებით უნდა მიეწოდოს სამუშაოს მაძიებლებს, არ არის სრულყოფილი, არ ხდება მათი სინქრონიზირება ბაზებთან. სააგენტოს ვებ-გვერდი, რომელიც ერთადერთი საშუალებაა

მომხმარებლისათვის ინტერნეტით მიიღოს ინფორმაცია რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ - ნაკლებად ეფექტიანია და ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის ინფორმირებულობას.

შესავალი და მოტივაცია

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, მისი ძირითადი ფუნქციაა შესაბამისი ადამიანური რესურსებით წარმოებისა და მომსახურების სფეროს უზრუნველყოფა. შრომის ბაზრის გამართულ ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის შრომითი და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ხარისხი, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონე. აღნიშნული ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და განხორციელებით.

საქართველოს შრომის ბაზრის ძირითადი მახასიათებელია მოსახლეობის დასაქმების დაბალი დონე. 2012 წელს უმუშევრობის დონემ შეადგინა 15%, 2013 წელს 14.6%, ხოლო 2014 წელს 12.4%. [1] შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. კერძოდ შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევების განხორციელება საქართველოს მთავრობის[2] N 732 დადგენილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. კვლევის მიზანია შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობების/მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება, თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და გადამზადების აუცილებლობის გამოვლენა, სამუშაო ადგილების შექმნაზე გავლენის მომხდენი ფაქტორების იდენტიფიცირება, კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში დასაქმების შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე მიმდინარეობს მუშაობა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS) შექმნაზე/დანერგვაზე. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს ვებ-პორტალს, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის (დამსაქმებლები, სამუშაოს მაძიებლები, განათლების პროვაიდერები, სამთავრობო უწყებები) შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ამას გარდა, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს სამუშაოს ძებნისთვის ხარჯების შემცირებას, სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის ხელშეწყობას, საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის ხელშეწყობასა და შრომის ბაზრის შესახებ არსებული ინფორმაციის მონიტორინგსა და შეფასებას.

პროფესიული გადამზადების კუთხით, 2015 წლის 31 აგვისტოს #451 საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა".

აღნიშნული დადგენილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა სამი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

[1] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo
[2] საქართველოს მთავრობის N732 დადგენილება

სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომელიც მოცემულ ვადებში შესრულებულია. რეგიონულ ჭრილში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უმუშევრობა ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემასა და აქტიურ გამოწვევას. რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დამატებით გამოიყოფა თანხები უმუშევრობის შემცირების, სამუშაოთა მაძიებლების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული ღონისძიების მიზანია მოქალაქეებს გაუადვილოს სამუშაოს დაწყება ან დაეხმაროს მათ შესაბამისი, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევების შეძენაში.

არსებული ინფორმაციით[3], ქვემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით, უმუშევრობის დონე აჭარის რეგიონში პროცენტულად საკმაოდ მაღალია. აღნიშნული სტატისტიკა ადასტურებს, რომ კვლავ ვერ ხერხდება პრობლემის გადაჭრა და უმუშევრობის შემცირება როგორც საქართველოში, ასევე რეგიონულ ჭრილში.

უმუშევრობის დონე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში



არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის უმუშევრობასთან ბრძოლის კონცეფციის, დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობას. შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებობს დასაქმების სახელმწიფო სამსახური - დასაქმების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს დასაქმების ხელშეწყობის ინსტიტუტს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული ღონისძიებები, 2013 წელს ეფექტიანობის აუდიტით იქნა შესწავლილი, რომელმაც მოიცვა 2010-2012 წელი. აღნიშნულ პროცესთან მიმართებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომლებზეც მომზადდა და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეისწავლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახსრებით დაფინანსებული პროგრამა დასაქმების

[3] http://www.geostat.ge/

ხელშეწყობასთან დაკავშირებით და განიხილა პროგრამის მართვის საკითხები: ორგანიზაციაში შესაბამისი საინფორმაციო ბაზების ფორმირება და გამოყენება, სააგენტოს მომსახურების საჯაროობა, სააგენტოს პროგრამების შესაბამისობა შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან. განხორციელებული პროცედურებით იდენტიფიცირებულია ბაზების ფორმირების ნაკლოვანებები, გადამზადების შედეგად აპლიკანტების დასაქმების დაბალი მაჩვენებლები, სააგენტოს მომსახურების დაბალი პროდუქტიულობა. აღნიშნული პრობლემის ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით.

აუდიტის მიზანი და კითხვები

აუდიტის მიზანია დასაქმების სააგენტოს მართვაში არსებული პრობლემებისა და მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

აუდიტის მთავარ პრობლემად აუდიტის ჯგუფი მიიჩნევს საინფორმაციო ბაზების ფორმირებასა და გამოყენებაში არსებულ ნაკლოვანებებს, ასევე გადამზადების პროცესში არსებულ ნაკლოვანებებს პროფესიული გადამზადების პროგრამების ეფექტიანობის, პროდუქტიულობისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

ზემოთხსენებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების შესასწავლად და შესაბამისი რეკომენდაციების შესამუშავებლად აუდიტმა უნდა უპასუხოს შემდეგ მთავარ კითხვას:

რამდენად ადექვატურია სააგენტოს ქმედებები აჭარის რეგიონში უმუშევრობის შემცირებასთან დაკავშირებით? აღნიშნული კითხვა თავის მხრივ შედგება შემდეგი ქვეკითხვებისგან:

- › რამდენად ღია/საჯაროა დასაქმების სააგენტოს მომსახურება?
- › რამდენად შესაბამისობაშია სააგენტოს პროგრამები/მიდგომები შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან?
- › რამდენად პროდუქტიულად ხდება უმუშევართა მონაცემთა ბაზის გამოყენება?

შეფასების კრიტერიუმები

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კრიტერიუმად გამოიყენა ის საკანონმდებლო აქტები და კვლევები, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული დასაქმებისა და შრომითი ბაზრის საკითხებთან.

ეროვნული
კანონმდებლობა:

- ✓ საქართველოს შრომის კოდექსი
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის N43 დადგენილება ,,სსიპ -

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ''

- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ''
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ''
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ''
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ''

კვლევები და ანგარიშები:

- ✓ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) – EU-ის მიერ დაფინანსებული პროექტი მიზნობრივი ინიციატივა - საქართველოსთვის ,,ქართველი დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციისა და ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული რეადმისიის ხელშეკრულების განხორციელების მხარდასაჭერად (TIG) - ,,სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა''
- ✓ აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) 2012 2012 წლის კვლევა - სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.
- ✓ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) 2010 წლის კვლევა ,,საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი''
- ✓ აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

აუდიტის ფარგლები და მეთოდოლოგია

აუდიტის ობიექტია:

- › სსიპ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო''

აღნიშნული მიზნის მისაღწევად და აუდიტის კითხვებზე პასუხების გასაცემად აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიმუშავა აუდიტორული პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც შესწავლილ იქნა დასაქმების ხელშეწყობის სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი ღონისძიებები და პროცესები.

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის შესწავლის მიზნით აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აჭარის რეგიონში არსებული მდგომარეობა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ზემოთ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად შეისწავლა 2012 წლიდან ძირითადი პროცედურების დამთავრებამდე პერიოდი.

საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით და აუდიტის ძირითად კითხვაზე პასუხის

გასაცემად, აუდიტის დროს გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მეთოდი:

- კანონმდებლობის დოკუმენტური ანალიზი და მისი შესაბამისობა არსებულ მდგომარეობასთან;
- საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა;
- აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და ფინანსური მონაცემები) ანალიზი;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობასთან, საინფორმაციო ბაზების ადმინისტრატორებთან და პროფესიული გადამზადების ცენტრის ხელმძღვანელებსა და მეთოდოლოგებთან.
- სამუშაო შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების და შესაბამისი რეკომენდაციების გაანალიზების მიზნით;
- რაოდენობრივი და სტატისტიკური ანალიზი ბაზების ფორმირებასთან დაკავშირებით.

ზოგადი ინფორმაცია

ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება მიემართება დასაქმების სააგენტოში. სსიპ ,,აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტო'' წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს დამსაქმებლისა და სამუშაოს მაძიებლის კავშირს, ვაკანსიის შესაბამისი კადრის შერჩევასა და დამსაქმებლისათვის შეთავაზებას, ქმნის ინფორმაციულ ბაზას სამუშაოს მაძიებლისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ, აგრეთვე ახორციელებს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებას. სააგენტოს ფუნქციებში შედის ასევე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ახალი პროფესიული უნარ-ჩვევებით აღჭურვა მოთხოვნად პროფესიებში, მათი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. სააგენტო აჭარის რეგიონში წარმოდგენილია შესაბამისი რეგიონალური ოფისებით, სადაც შესაძლებელია საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია პროფესიული გადამზადებისა და ვაკანსიების შესახებ.

შესაბამისი დებულებით სააგენტოს ფუნქციებია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია და აღრიცხვა;

ბ) სამუშაოს მაძიებელი პირების მონაცემთა ბაზის შევსება/განახლება;

გ) სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება და მათი შრომითი მოწყობის მიზნით საშუამავლო საქმიანობის ორგანიზება;

დ) დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და მისი განხორციელება;

ე) სამუშაოს მაძიებელთათვის პროფესიული ტრენინგების ჩატარება/ორგანიზება სხვადასხვა სფეროში;

ვ) შრომის ბაზრის სისტემატური კვლევა;

ზ) დასაქმებულთა აღრიცხვა და მონაცემთა შევსება/განახლება;

თ) საჯარო და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა;

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი მუდმივი განახლება;

კ) საჯარო და კერძო სექტორში არსებული ვაკანსიების თაობაზე ინფორმაციის მოძიება და საზოგადოებისათვის მიწოდება.

პროგრამის დაფინანსების სისტემა და ბიუჯეტი

სააგენტო ყოველწლიურად ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან. 2012 წელს მის დაფინანსებას სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოფდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო. 2012 წელს სააგენტოსათვის აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი იყო 25 000 ლარი, თუმცა შემდგომ წლებში მისი დაფინანსება სრულად ხორციელდებოდა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

სულ სააგენტოს 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით განხორციელებული აქვს სამი პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სულ გადამზადდა არანაკლებ 480 ბენეფიციარი.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია ინფორმაცია 2012-2015 წლების ბიუჯეტის და პროგრამის შემოსულობებზე:



როგორც ზემოაღნიშნული ცხრილიდან ჩანს, 2012 წლის დაფინანსების ოდენობა შეადგენდა - რესპუბლიკური ბიუჯეტი 330 000 ლარი, IOM 25 000 ლარი; 2013 წელი - რესპუბლიკური ბიუჯეტი 375 999 ლარი; 2014 წელი - რესპუბლიკური ბიუჯეტი 406 500 ლარი. ბიუჯეტის დიდი ნაწილი 80% ხელფასის ხარჯებისაგან შედგება, სააგენტოს ბიუჯეტი მოიცავს პროგრამულ ხარჯებსაც, რომელიც დასაქმების ხელშეწყობასთან არის დაკავშირებული.

მიგნებები

საინფორმაციო ბაზები

არ ხდება საინფორმაციო ბაზების ერთმანეთთან კავშირი და სამუშაოს მაძიებლებზე სრული ინფორმაციის მიწოდება.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM)[4] მიერ 2007 წლიდან საქართველოში დაიწყო დასაქმებისა და კონსულტაციის პროექტის განხორციელება, ხოლო 2008 წლიდან ბათუმში გაიხსნა მათი წარმომადგენლობა, რომელიც ფუნქციონირებდა 2011 წლის ბოლომდე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით[5] შეიქმნა სსიპ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო'', რომელსაც უსასყიდლოდ გადაეცა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შექმნილი მონაცემთა ბაზის პროგრამა.

სააგენტო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს დამტკიცებული დებულების მიხედვით, რომლის ორ ძირითად კომპონენტს შეადგენს პროფესიული გადამზადება და სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, მათთვის ბაზარზე არსებული სასურველი ვაკანსიების დროის მოკლე მონაკვეთში შეთავაზების მიზნით. შესაბამისად, აღნიშნული ძირითადი ამოცანის შესრულებას, სამუშაოს მაძიებლების და დამსაქმებელი კომპანიების რეგისტრაციას ახორციელებს აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის მიხედვით. პროგრამა ჩაწერილია ყველა მუნიციპალიტეტის კომპიუტერულ სისტემაში, საიდანაც ხორციელდება საინფორმაციო ბაზების ფორმირება. ბაზებში ინფორმაციის რეგისტრირება ხდება პირადად დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებლების მიერ შესაბამისი სააპლიკაციო ფორმის შევსების შედეგად.

პროგრამა საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს როგორც სამუშაოს მაძიებლების, ასევე დამსაქმებლების საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართი, ელექტრონული ფოსტა, დასაქმების სასურველი სფერო, პროფესია და ა.შ.

აღნიშნული საინფორმაციო ბაზები მუშაობს ავტონომიურად და არ გააჩნია ურთიერთკავშირი. მაგალითად, ხელვაჩაურის ბაზას არ აქვს წვდომა ბათუმის ბაზასთან, ხოლო ბათუმს ქობულეთის ბაზასთან და პირიქით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტების მიხედვით თითოეული საინფორმაციო ბანკი დამოუკიდებელია და შეუძლებელია რეგიონებმა მიიღონ წვდომა ბათუმის დამსაქმებლების, ვაკანსიების და სამუშაოს მაძიებლების შესახებ. ასევე შეუძლებელია ბაზებთან მომხმარებლის წვდომა და ინფორმაციის მიღება on-line (ინტერნეტის საშუალებით), ის არ არის დაკავშირებული ინტერნეტთან და ასევე სააგენტოს ვებ-გვერდთან. ბაზებში აკუმულირებული ინფორმაციის მიღება უმეტესწილად შესაძლებელია რეგიონულ ოფისში გამოცხადების შემთხვევაში.

---

[4] IOM – International OrganizaTion for Migration

[5] აჭარის ა.რ. მთავრობის დადგენილება N43 13.09.2011წ.



ამრიგად, ბაზებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლა ხელს შეუწყობს სამუშაოს მაძიებელთა დასაქმებას და გაუადვილებს მათ სასურველი ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიღებას დროის მოკლე მონაკვეთში, ხოლო ბაზების ავტონომიურად მუშაობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პრობლემას მათი ფუნქციონირებისა და სარგებლიანობის კუთხით. 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ბაზების ანალიზის მიხედვით, სულ დარეგისტრირდა 17.8 ათასი სამუშაოს მაძიებელი, 5.5 ათასი ვაკანსია და 2.0 ათასი დამსაქმებელი. რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისა და ვაკანსიების უმეტესი წილი მოდის ბათუმის მუნიციპალიტეტზე, შესაბამისად მუნიციპალიტეტებში მყოფ სამუშაოს მაძიებლებს არ აქვთ შესაძლებლობა აღნიშნული პროგრამის მეშვეობით მიიღონ ინფორმაცია ქალაქსა და რეგიონებში არსებულ ვაკანსიებზე და პირიქით.





როგორც აღიშნული გრაფიკებიდან ჩანს, სულ რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების 60% და ვაკანსიების 69% მოდის ბათუმის მუნიციპალიტეტზე. შესაბამისად, სამუშაოს მაძიებლების დარჩენილ 40%-ს არ აქვს/ქონდა საშუალება აღნიშნული პროგრამის მეშვეობით მიეღო ინფორმაცია არსებული ვაკანსიების 69%-ზე და პირიქით. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპლიკანტებს არ აქვთ საშუალება ისარგებლონ საერთო მონაცემთა ბაზებით, ხოლო ასეთის სურვილის შემთხვევაში მხოლოდ რეგიონულ ოფისებში გამოცხადების მიხედვით, რაც აღნიშნული ბაზების გამოყენებისა და სარგებლიანობის დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს.

არ ხდება საინფორმაციო ბაზების სრულყოფილი ფორმირება და გამოყენება.
არსებული ბაზების ტესტირებით, იდენტიფიცირებულია შემთხვევები, რომლებზეც არ არის დაფიქსირებული დაბადების თარიღი, მობილურის, სახლის ტელეფონის ნომერი ან სხვა საკონტაქტო ინფორმაცია. შესაბამისად, აღნიშნული აპლიკანტები მოკლებული არიან შესაძლებლობას სრულად ისარგებლონ დასაქმების სააგენტოს მომსახურებით.

მაგალითად, ტესტირებისათვის შეირჩა: ქალაქი ბათუმი, ხელვაჩაურისა და ხულოს მუნიციპალიტეტები, სადაც იდენტიფიცირებულია, რომ ბათუმში 20 აპლიკანტზე არ ფიქსირდება საკონტაქტო ინფორმაცია და დაბადების თარიღი, ხელვაჩაურში 113 აპლიკანტზე არ ფიქსირდება საკონტაქტო ინფორმაცია, ხოლო ხულოში -112 აპლიკანტზე. შესაბამისად, აღნიშნულ ბენეფიციარებთან დაკავშირება შესაძლო ვაკანსიებისა ან დაინტერესებული სამუშაოს მაძიებლების შემთხვევაში ვერ მოხერხდება,

რაც მიგვითითებს იმაზე, რომ საჭიროა აღნიშნული ბაზების სისტემატური განახლება და ინვენტარიზაცია, რაც არ ხორციელდება.

<u>რეკომენდაცია:</u>

- სააგენტომ უზრუნველყოს ისეთი საინფორმაციო და პროგრამული სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ბათუმის, ასევე აჭარის სხვა რეგიონების ჩართვას ერთიან საინფორმაციო სისტემაში.
- სააგენტომ უზრუნველყოს ბაზაში არსებული ინფორმაციის, როგორც სამუშაოს მაძიელებლების ასევე დამსაქმებლების სრული ინვენტარიზაცია.
- სააგენტომ უზრუნველყოს ბაზაში რეგისტრირებული სუბიექტების შესახებ სრული ინფორმაციის რეგისტრაცია, როგორიც არის საკონტაქტო ინფორმაცია, დაბადების თარიღი და ა.შ. რომლის ფუნქციაც პროგრამას გააჩნია.

პროფესიული გადამზადება

ბენეფიციარების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი პროფესიული გადამზადების მიუხედავად.

სტრუქტურული უმუშევრობა გულისხმობს შრომის ბაზარზე არსებული პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობას ბაზარზე მომხდარი ცვლილებების შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებთან. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა პროფესიული განათლების განვითარება და კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებაა. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობის მიერ 2007 წლიდან დაიწყო მუშაობა და მიღებულ იქნა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ". დაახლოებით წელიწად ნახევარში, შემუშავდა „პროფესიული განათლების განვითარების 2009-2012 წლების სტრატეგია", აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებისას შემუშავდა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით.

არაფორმალურად ითვლება პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად. მისი სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას. არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება დაუშვებელია პროფესიული განათლების IV და V საფეხურების ფარგლებში.

პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს, რომლებიც განისაზღვრება სწავლის შედეგების შესაბამისად:

- I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი;
- II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი;
- III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადექვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად;
- IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე;
- V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.

პროფესიული გადამზადება - 2012 წელი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, დასაქმების სააგენტო თავის მხრივ ახორციელებს პროფესიული განათლების პროგრამებს შესაბამის ფოკუს ჯგუფებზე. 2012 წელს შემუშავებული იქნა სამთავრობო პროგრამა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეკომიგრანტთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პროფესიული გადამზადება", ბიუჯეტით 25 000 ლარი, ბენეფიციარების დასაქმების მაჩვენებელი განისაზღვრა 60-70%-ით, პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების (90 ბენეფიციარიდან) მაჩვენებელი კი-90-100%-ით. პროგრამის დაფინანსებას გრანტის სახით ახორციელებდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო. პროგრამის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო 90 ეკომიგრანტის პროფესიული გადამზადება 7 სპეციალობაში ორთვიანი სასწავლო პროგრამით, შემდეგ პროფესიებში:

N	დასახელება	რაოდენობა	თანხა
1	ტექნიკის ოპერატორი	10	340
2	მზარეული	10	500
3	ელექტროშემდუღებელი	10	250
4	მეფილე-მომპირკეთებელი	15	200
5	სტილისტი	15	150
6	თექა-გობელინის დამზადების სპეციალისტი	15	130
7	ხის დამუშავების სპეციალისტი	15	130

თუმცა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სულ გაიხარჯა 12 377 ლარი, მათ შორის: პროფესიული გადამზადებისათვის 10 900 ლარი, პროგრამის მართვის კოორდინატორებისათვის 1 380 ლარი, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯებისათვის 89 ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 30 ბენეფიციარი ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯის მიერ, შემდეგ პროფესიებში: ელექტროშემდუღებელი - 10; მზარეული - 10; მძიმე ტექნიკის ოპერატორი - 10; ხოლო სხვა შემთხვევებში 30 ბენეფიციარის გადამზადებაზე გაფორმდა ხელშეკრულება პროფესიულ კოლეჯ ,,ბლექსისთან'', თუმცა ვერ მოხდა შესაბამისი ბენეფიციარების შეგროვება, რის შემდგომაც პროფესიული გადამზადების კუთხით სხვა ღონისძიებები არ განხორციელებულა.

როგორც სამთავრობო პროგრამაში იყო დაფიქსირებული, სულ აჭარის რეგიონში 9000-ზე მეტი ოჯახი და 40 000-მდე ეკომიგრანტია განსახლებული. მათ შორის, ნაწილი ქალაქ ბათუმში, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში. ასევე, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობს 6500-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი. სააგენტოს ამოცანა იყო გადაემზადებინა 90 პირი, თუმცა როგორც ზემოაღნიშნული გარემოებიდან ირკვევა მან შეძლო ჩაერთო პროგრამაში და გადაემზადებინა 30 პირი, ანუ სულ შესრულდა პროგრამით დაგეგმილი რაოდენობის 33.3 პროცენტი. ხოლო რაც შეეხება აღნიშნული 30 პირის დასაქმებას გადამზადებული ბენეფიციარებიდან 16.6%-მა შეძლო დასაქმება 2012 წელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულ იყო დასაქმების მაქსიმუმ 70%-იანი შედეგი, პროფესიული გადამზადების 2012 წლის პროგრამა 53%-ით ჩამორჩება მიზნობრივი პროგრამით განსაზღვრულ მისაღებ შედეგებს.

პროფესიული გადამზადება - 2013 წელი

სააგენტოს მიერ შემუშავებული და აჭარის მთავრობის მიერ დამტკიცებული იქნა პროფესიული გადამზადების მიზნობრივი პროგრამა ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პროფესიული გადამზადება'' ოთხ სპეციალობაში. შესაბამისად, პროგრამული დაფინანსება კონკრეტულ ფოკუს ჯგუფზე იქნა მიმართული. პროგრამის შეფასების ინდიკატორად სააგენტომ განსაზღვრა მონაწილე 200 ბენეფიციარიდან არანაკლებ 192 ბენეფიციარის კურსის გავლა წარმატებით და შესაბამისი სერთიფიკატის გაცემა მათზე, ხოლო ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმებად განისაზღვრა:

- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები სარეიტინგო ქულით 0 დან 70 000-მდე ქულით.
- მარჩენალ დაკარგულები (ორი ან ერთ-ერთი გარდაცვლილი მშობლის 18 წლამდე შვილი).
- მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.
- ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ოჯახის წევრები.

პროგრამა არ ვრცელდებოდა იმ პირებზე, რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფოს პროფესიული გადამზადების 1000 ლარიანი ვაუჩერით.

როგორც ზემოაღნიშნული პროგრამიდან ჩანს, თუ 2012 წელს სამთავრობო პროგრამის საბოლოო შედეგი იყო ბენეფიციართა გადამზადების შემდგომ მათი დასაქმება, 2013 წელს წელს პროგრამის მიზანია ბენეფიციარების მიერ გადამზადების კურსის გავლა და სერტიფიკატის მინიჭება, რაც დასაქმების პროგრამის შეფასებისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ვერ იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში საბოლოო შედეგზე ორიენტირებული.

პროგრამის ფარგლებში, სააგენტომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ხელშეკრულება[6] გაუფორმა სსიპ ,,საზოგადოებრივი კოლეჯი ახალი ტალღას'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 200 სოციალურად დაუცველი პირის პროფესიული გადამზადების მიზნით ოთხ სპეციალობაში, სახელშეკრულებო ღირებულებით 34 999 ლარი.

N	დასახელება	რაოდენობა	თანხა
1	მეფილე-მომპირკეთებელი	50	150
2	მზარეული	50	300
3	სტილისტი	50	140
4	ავტომობილის ზეინკალი	50	110

გაფორმებული ხელშეკრულებით მიმწოდებელს დაევალა ეწარმოებინა სასწავლო ჯგუფების დასწრების ჟურნალი, რომელიც შემსყიდველის მოთხოვნისთანავე უნდა წარედგინა. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდებოდა ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად. გადამზადებაში მონაწილეთა რაოდენობაზე გაანგარიშებით[7], ხელშეკრულებაზე თანდართული ფასების ცხრილის მიხედვით გაწერილია ერთ კურსზე თვეში ერთი პიროვნების გადამზადების საფასური. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით, პროგრამაში მონაწილე სტუდენტების ნაწილი არ ესწრებოდა მოსამზადებელ კურსებს ყოველდღიურად, არის შემთხვევები როდესაც სტუდენტი ესწრება მთლიანი კურსის 40-45% დღეთა რაოდენობას, მიუხედავად იმის, რომ მას არ უსარგებლია მთლიანი კურსით, გამოცდაზე გასვლის შემდგომ აიღო შესაბამისი სერთიფიკატი, თუმცა სააგენტოს მხრიდან აღნიშნულის ეფექტიანი მონიტორინგი, თუ რამდენად იქონია ზეგავლენა გაცდენებმა სასწავლო პროცესზე და რა მიზეზებით იყო აღნიშნული გამოწვეული - არ ხორციელდებოდა.

გადამზადების პროგრამა მოიცავდა სამთვიან კურსს და აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 200 ბენეფიციარი და გაიცა შესაბამისი სერთიფიკატები, თუმცა სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით გადამზადების შემდგომ დასაქმდა სულ 23 ბენეფიციარი. თუმცა არ არის ცნობილი დასაქმება მოხდა იმავე პროფესიით რაშიც გადამზადება გაიარეს თუ სხვა პროფილით, ხოლო დანარჩენთან ვერ მოხერხდა

[6] ხელშეკრულება N08-08/02 გ.ე.ტ.
[7] ხელშეკრულება N08-08/02 გ.ე.ტ. 6.3 პუნქტი.

დაკავშირება ან უბრალოდ ვერ დასაქმდა. შესაბამისად, პროგრამის დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 11.5%-ს. როგორც აღინიშნა, პროგრამით განსაზღვრული იყო საბოლოო შედეგი ბენეფიციართა გადამზადება და არ იყო ასახული მათი გადამზადების მოსალოდნელი შედეგები, შესაბამისად აღნიშნული შედეგი 11.5% პროცენტი, პროგრამასთან მიმართებით ვერ იქნება შესადარისი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ 2012 წელს ანალოგიური პროგრამით განსაზღვრულ მოსალოდნელი დასაქმების შედეგებს, 58.5%-ით ჩამორჩება პროგრამის მიზნებს.

პროფესიული გადამზადება - შრომითი ბაზრის მოთხოვნები 2014-2015

2014 წელს დასაქმების სააგენტოს პროფესიული გადამზადების პროგრამა არ განუხორციელებია.

სააგენტომ 2014 წელს განახორციელა მიზნობრივი პროგრამა „ შრომის ბაზრის კვლევა", რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო აჭარაში სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა, დეფიციტური და მოთხოვნადი პროფესიების დადგენა და კადრების მომზადება-გადამზადების სისტემის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული რეკომენდაციები სააგენტოს უნდა გამოეყენებინა დასაგეგმი, ანუ 2015 წლის გადამზადების პროგრამის დაგეგმვის დროს.

2015 წელს სააგენტომ განახორციელა „პროფესიული გადამზდების" მიზნობრივი პროგრამა, რომლის დაფინანსება ჯამში განისაზღვრა 100 000 ლარით. პროგრამა მოიცავდა 3 ქვეპროგრამას:

- სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროფესიული გადამზადება" - 52 000 ლარი.
- „35 წლის ზევით ასაკის მოქალაქეების პროფესიული გადამზადება" - 40 000 ლარი.
- „ძალოვანი სტრუქტურის ვეტერანთა პროფესიული გადამზადება" - 8 000 ლარი.

სამი თვის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში უნდა გადამზადებულიყო სულ 250 ბენეფიციარი. მათ შორის: 130 სოციალურად დაუცველი, 35 წლის ზევით ასაკის 100 მოქალაქე და ძალოვანი სტრუქტურის 20 ვეტერანი.

სააგენტოს განმარტებით „35 წლის ზევით" კატეგორიის გამოყოფა მოხდა იმ მიზეზით, რომ დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდვა მათი დაბალკონკურენტუნარიანობის გამო, განსაკუთრებით მწვავედ არის გამოვლენილი სწორედ ამ ასაკის ადამიანებში. სააგენტოს მიერ 2014 წელს ჩატარებულ „შრომის ბაზრის კვლევის" შედეგებში 35 წელზე ზევით კონტიგენტის კვლევის შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის. სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული კონტიგენტის არჩევა მოხდა არსებული გამოცდილების საფუძველზე.

2015 წლის მიზნობრივი გადამზადების პროგრამით განსაზღვრულია, რომელი კატეგორიის ბენეფიციარი რომელი მიმართულებებით უნდა გადამზადდეს. ქვემოთ

ცხრილის სახით მოცემულია პროფესიათა ჩამონათვალი და ბენეფიციართა ოდენობები შემდეგი სახით:

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარებში
	35 წელზე ზევით		
1	მზარეული	100	400
2	კონდიტერი		
3	სარესტორნო საქმის მწარმოებელი		
4	სასტუმრო საქმის მწარმოებელი		
5	შემდუღებელი		
6	ამწის ოპერატორი		
7	მძიმე ტექნიკის ოპერატორი		
8	მასაჟისტი		
	სოციალურად დაუცველი		
1	მზარეული	130	400
2	კონდიტერი		
3	სასტუმრო საქმის მწარმოებელი		
4	სარესტორნო საქმის მწარმოებელი		
5	შემდუღებელი		
6	ამწის ოპერატორი		
7	მძიმე ტექნიკის ოპერატორი		
8	მასაჟისტი		
	ძალოვანი სტრუქტურის ვეტერანი		
1	რკინა-ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი	20	400
2	შემდუღებელი		
3	ამწის ოპერატორი		
4	მძიმე ტექნიკის ოპერატორი		

სულ პროგრამის ფარგლებში 250 ბენეფიციარიდან გადამზადდა 247 ბენეფიციარი (3 გაირიცხა) და დაიხარჯა 98 947 ლარი. აქედან სწავლების კურსი წარმატებით გაიარა და სერთიფიკატი მიიღო ბენეფიციარების 80 %-მა.

იმ პროფესიების შერჩევისას, რომელშიც უნდა გადამზადებულიყვნენ ბენეფიციარები სააგენტოს მხოლოდ ნაწილობრივ აქვს გამოყენებული 2014 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. გადამზადებისათვის შერჩეული პროფესიების და 2014 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილი მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამის სახით:



დიაგრამიდან ჩანს, რომ გადამზადებისათვის შერჩეული პროფესიებიდან მხოლოდ ორი ემთხვევა შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილ დეფიციტურ და მოთხოვნად პროფესიებს. ესენია: მზარეული და მიმტანი (სარესტორნო საქმის მწარმოებელი). აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშში ჩამოთვლილი მოთხოვნადი პროფესიები არ არის სრულად მოცემული. კერძოდ, ჩამონათვალი მთავრდება „და ა.შ" ტექსტით, რაც უნდა გულისხმობდეს, რომ კიდევ არსებობს ჩამონათვალი მოთხოვნადი პროფესიებისა, თუმცა კვლევის შედეგებში არ არის აღნიშნული. სააგენტოს განმარტებით, დანარჩენი პროფესიების, ანუ გადამზადებისათვის შერჩეული პროფესიების აბსოლუტური უმრავლესობის შერჩევა მოხდა მათთან შემოსული ვაკანსიების ანალიზის საფუძველზე.

2015 წელს განხორციელებული „პროფესიული გადამზადების" პროგრამის მიზანი იყო შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებულ პროფესიებში ბენეფიციარების გადამზადება. ამ ტიპის პროფესიების შერჩევა კი უნდა მომხდარიყო 2014 წელს განხორციელებული „შრომის ბაზრის კვლევის" შედეგებზე დაყრდნობით, რაც მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული.

სააგენტოს 2015 წელს არ აქვს შემუშავებული გადამზადების პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამაში არ არის გაწერილი დასაქმების მოსალოდნელი მაჩვენებელი, რაც შედეგების მონიტორინგის შესაძლებლობას ზღუდავს. ასევე, უკვე გადამზადებული პირების დასაქმების დონის განსაზღვრის მიზნით სააგენტო არ აწარმოებს სარწმუნო მონაცემებს. კერძოდ, მისი ბაზების მიხედვით გადამზადებული 247 მოქალაქიდან დასაქმების მაჩვენებლები გამოიყურება შემდეგნაირად: 2015 წლის 1

დეკემბრის მდგომარეობით 41% არ არის დასაქმებული, 17% დასაქმებულია, ხოლო 42%-თან დაკავშირება შეუძლებლია იმ მიზეზით, რომ ბენეფიციარების ტელეფონის ნომრები არ არის მითითებული ბაზაში. თუმცა აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობა, ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების არქონის პირობებში, არაზუსტი და გადაჭარბებული იქნებოდა და უფრო მიმართულია შედეგების მაქსიმალურად წარმოჩენის მიზნით, ვინაიდან შესაძლებელია პირები, რომლებთანაც სააგენტოს განმარტებით ,,დაკავშირება ვერ ხერხდება'' შესაძლებელია არ იყვნენ დასაქმებულები.

<u>რეკომენდაცია</u>

- სააგენტომ უზრუნველყოს პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და საბოლოო შედეგების განსაზღვრა, რომელიც იქნება ორიენტირებული სამუშაოს მაძიებლის დასაქმებაზე სასწავლო კურსის გავლის შემდგომ, ასევე პროგრამის განხორციელების პერიოდში ეფექტიანი მონიტორინგი.

დასაქმების სააგენტოს მომსახურების ღიაობა/საჯაროობა

დასაქმების სააგენტოს ძირითადი, სრული მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი ინტერნეტით.
დასაქმების სააგენტო აჭარის რეგიონში წარმოდგენილია რეგიონული ოფისებით. ექვსივე[8] მუნიციპალიტეტში სააგენტოს გააჩნია ოფისი, სადაც შესაძლებელია მათი მომსახურების მიღება.

მომსახურების საჯაროობის უზრუნველსაყოფად, სააგენტომ 2012 წლიდან დღემდე შეისყიდა ორი ვებ-გვერდის შექმნის და hosting-ის მომსახურება. 2012 წლის დასაწყისში ვებ-გვერდის http://www.employmentajara.gov.ge შესყიდვაზე გაიხარჯა 1900 ლარი, ხოლო მის მომსახურებაზე (hosting) 600 ლარი. თუმცა სააგენტოს გადაწყვეტილებით ჰოსტინგი დაიხურა და აღნიშნული ვებ-გვერდი ჩანაცვლდა <u>http://www.hrajara.gov.ge/-ით, რომელიც მოქმედებს 2015 წლის იანვრიდან.</u> ძველი ვებ-გვერდის შესაძლებლობების და მისი გაუქმების მიზეზების შესახებ აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო შესაბამისი განმარტება.

ახალი ვებ-გვერდის მეშვეობით შესაძლებელია ვაკანსიების და სამუშაოს მაძიებლების ონლაინ რეგისტრაცია. დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელს შეუძლია განაცხადი გააკეთოს საიტზე დარეგისტრირებულ სასურველ ვაკანსიაზე. სამუშაოს მაძიებელს თავისი პროფილის შექმნის შემდგომ საშუალება აქვს ნახოს მის ვაკანსიაზე გაკეთებული განაცხადების შესახებ აპლიკანტების ინფორმაცია.

მოქმედ ვებ-გვერდზე დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები და ვაკანსიები არ ხვდებიან სააგენტოს ბაზაში, რომელსაც სააგენტო ცალკე პროგრამულად (პროგრამა არ

[8] ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო

არის ინტეგრირებული ვებ-გვერდთან) აწარმოებს და პირიქით ბაზაში დარეგისტრირებული მონაცემები არ ხვდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ანუ თუ პირმა განახორციელა რეგისტრაცია საიტზე ის არ ხვდება სააგენტოს მთავარ საინფორმაციო ბაზაში და პირიქით თუ პირმა გაიარა რეგისტრაცია საინფორმაციო ბაზაში, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ რეგიონულ ოფისში გამოცხადების შემდგომ, აღნიშნული არ მოხვდება სააააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მოცემული პრობლემა ვებ-გვერდის მეშვეობით დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს არ აძლევს სააგენტოში შემოსული ყველა ვაკანსიის შესახებ ინფორმაციას, რითაც იზღუდება სააგენტოს მომსახურების საჯაროობა. მაგალითისათვის შევადაროთ 2015 წელს პროგრამულ ბაზაში და საიტზე დარეგისტრირებული ვაკანსიების ოდენობები თვეების მიხედვით, რომელიც უფრო ნათლად განმარტავს აღნიშნულ პრობლემას:



როგორც აღნიშნული გრაფიკიდან ჩანს, მაგალითად 2015 წლის იანვარში ბაზაში რეგისტრირებულია ახალი 72 ვაკანსია, ხოლო საიტზე 7 ვაკანსია, შესაბამისად სამუშაოს მაძიებელს, რომელიც დაინტერესებულია მისთვის საინტერესო ვაკანსიაზე განაცხადის გაკეთებაზე, არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია ბაზაში არსებული 72 ვაკანსიის შესახებ, თუ ის არ გამოცხადდება ბათუმის ოფისში და ადგილზე არ მიიღებს აღნიშნულ ინფორმაციას. იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს ვებ-გვერდი ერთადერთი საშუალებაა მომხმარებლისათვის ინტერნეტით მიიღოს ინფორმაცია რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ ნაკლებად ეფექტიანია და ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის სრულ ინფორმირებულობას.

სააგენტოს ასევე გააჩნია facebook გვერდი, რომელზეც ძირითადად სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ვაკანსიების მცირე ნაწილის და სხვა ინფორმაციის გაზიარება ხდება.

ტრენინგების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება შემდეგი საშუალებებით:

- ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და შესაბამისად, ზიარდება facebook გვერდზე;

- ინფორმაცია გამოიკვრება დასაქმების სააგენტოს ოფისებში და გამგეობის შენობებში განცხადებების სახით.

<u>რეკომენდაცია</u>

- ❖ სააგენტომ უზრუნველყოს ეფექტიანი ვებ-პორტალის ფუქნციონირება, რომელიც დაკავშირებული იქნება მთავარ საინფორმაციო ბაზებთან და სრულ ინფორმაციას მიაწვდის, როგორც სამუშაოს მაძიებლებს, ასევე დამსაქმებლებს არსებული ვაკანსიების შესახებ.

შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები

დასაქმების პროგრამა რეგიონში პოზიტიურ როლს ასრულებს, აუდიტის ჯგუფმა მოახდინა პრობლემატური საკითხების და ხარვეზების იდენტიფიცირება, მათი შემდგომში გამოსწორების მიზნით.

აუდიტის საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რეგიონებსა და ბათუმში საინფორმაციო ბაზები ფუნქციონირებს დამოუკიდებლად და არ გააჩნიათ ერთმანეთთან წვდომა, შესაბამისად მათ არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სრული ინფორმაცია დამსაქმებლებისა და ვაკანსიების შესახებ; პროფესიული გადამზადების პროგრამებისს კრიტერიუმები არ არის ორიენტირებული დასაქმების საბოლოო შედეგებზე; დაბალი მაჩვენებელია სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომ დასაქმებულ სტუდენტებთა რაოდენობის მიხედვით, არ ფუქნციონირებს ეფექტიანი ვებ-პორტალი, რომელიც სრულ ინფორმაციას მიაწვდიდა მომხმარებლებს ბაზარზე არსებული ვაკანსიებისა და დამსაქმებლების შესახებ.

რეკომენდაციები

<u>სსიპ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს''</u>

- ❖ სააგენტომ უზრუნველყოს ისეთი საინფორმაციო და პროგრამული სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ბათუმის, ასევე აჭარის სხვა რეგიონების ჩართვას ერთიან საინფორმაციო სისტემაში.
- ❖ სააგენტომ უზრუნველყოს ბაზაში არსებული ინფორმაციის როგორც სამუშაოს მაძიელებლების, ასევე დამსაქმებლების სრული ინვენტარიზაცია.
- ❖ სააგენტომ უზრუნველყოს ბაზაში რეგისტრირებული სუბიექტების შესახებ სრული ინფორმაციის რეგისტრაცია, როგორიც არის საკონტაქტო ინფორმაცია, დაბადების თარიღი და ა.შ. რომლის ფუნქციაც პროგრამას გააჩნია.

- სააგენტომ უზრუნველყოს პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და საბოლოო შედეგების განსაზღვრა, რომელიც იქნება ორიენტირებული სამუშაოს მაძიებლის დასაქმებაზე სასწავლო კურსის გავლის შემდგომ.
- სააგენტომ უზრუნველყოს ეფექტიანი მონიტორინგი პროფესიული გადამზადების კურსის მიმდინარეობის პროცესში დასწრებადობის, ცნობადობისა და პრაქტიკული მომზადების საკითხებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით.
- სააგენტომ უზრუნველყოს ეფექტიანი ვებ-პორტალის ფუქნციონირება, რომელიც დაკავშირებული იქნება მთავარ საინფორმაციო ბაზებთან და სრულ ინფორმაციას მიაწვდის როგორც სამუშაოს მაძიებლებს, ასევე დამსაქმებლებს არსებული ვაკანსიების შესახებ.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფი:

გურამ დუმბაძე/უფროსი აუდიტორი/ჯგუფის ხელმძღვანელი

მაია მუჯირიშვილი/აუდიტორი

ირაკლი ანანიძე/უფროსი აუდიტორი

თარიღი 30.12.2015წ.